თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ფინანსური სერვისების განვითარებაში

ანა არველაძე

მარიამ ხომერიკი

ნინო ჭილვარია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ნადირაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ტექნოლოგიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური სერვისების განხორციელებაში. ფინანსურ ტექნოლოგიებში (Fintech) იგულისხმება ახალი, ალტერნატიული ბიზნესმოდელებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ფინანსური მომსახურების სფეროში. ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის საფინანსო სექტორში. მან გავლენა მოახდინა თითქმის ყველა ფინანსურ აქტივობაზე, გარდაქმნა ფულის მართვის არხები.

ფინანსურ ტექნოლოგიებს დიდი ისტორია აქვს. ფინტექის განვითარება 1950-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ფინანსურმა ტექნოლოგიებმაც განიცადა ევოლუცია. თითოეული ადამიანი განიცდის ტექნოლოგიის ზეგავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფინანსური ტექნოლოგიები ახდენს ინდუსტრიის რევოლუციას, მუდმივად იქმნება ინოვაციური ფინანსური პროდუქტები და მომსახურებები მომხმარებლებისთვის, რაც წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას ტრადიციული ფინანსური სერვისის მქონე კომპანიებისთვის.

ფინანსური ტექნოლოგიები გლობალურად ვითარდება და საქართველოშიც იკიდებს ფეხს. საბანკო სექტორი სულ უფრო აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს ფინანსური სერვისების განსახორციელებლად და კონკურენციას უწევს მზარდ ფინტექ კომპანიებს. საქართველოში იქმნება ისეთი ინოვაციური ფინტექ პროდუქტები, როგორიცაა „კნიკი“ და „თი-ბოტი“.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს გავიღრმავოთ ცოდნა ფინანსური სერვისების ინდუსტრიაში და გამოვავლინოთ სამომავლო ტენდენციები. ნაშრომში მიმოვიხილავთ წიგნებს, სტატიებსა და ნაშრომებს, რომლებიც ფინტექ ინდუსტრიას და ფინანსურ სექტორში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს ეხება. კვლევის ანალიზით ვეცდებით გამოვავლინოთ ფინტექის გავლენა საბანკო სექტორზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფინტექი, ფინანსური, ტექნოლოგიები, საბანკო.

Abstract

Technology has great influence on financial services. Financial Technology (FinTech) is use of new, alternative business models and technology in financial services industry. Using financial technology is very important in terms of competitive advantage in financial sector. It has influenced almost all financial activities and changed the ways of money management. FinTech is making the consumption of financial services easier.

Financial technology has a big history. Fintech has started improvement in 1950 and is still improving. Since then, because of the technology improvement financial technology has also seen a dramatic change. Every one of us has been affected by the latest technology. Financial technology is revolutionizing the industry, innovative financial products and services are created constantly. These innovative products are big challenge for traditional financial service companies.

In Georgia, as well as in the world, financial services is more and more digitalized Banking sector is actively using technology to conduct the financial services and is competing to growing Fintech companies. In Georgia, new and innovative FinTech services are created like Knik and T-bot.

We have done the research, which will help us to look further in the financial services industry and where it is going in the future. At the beginning of the project we will discuss the academic books, articles and business papers about FinTech and important events happened in financial sector. At the end we will analyze the research results, which will help us to understand what influence a FinTech will have on banking sector in Georgia.

Key Words: FinTech, Financial, Technology, Banking.